2024 წლის 8 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - „თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის კულტურული ფენომენის შესწავლა სამხრეთ კავკასიაში: ანთროპოლოგიური და გენეტიკური კვლევა, ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე“ (FR-23-17430, ხელმძღვანელი - ჰარალდ რინგბაუერი), ფარგლებში სამეცნიერო მივლინებით ქალაქ ერევანში, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში იმყოფებოდნენ ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომლები: **შორენა ლალიაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი) და **ნინო თავართქილაძე** (კოორდინატორი).

მივლინება დაგეგმილი იყო პროექტის პირველ საანგარიშო პერიოდში და ითვალისწინებდა ფიზიკური ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში (ერევანში), პროექტის მონაწილე **ანაჰიტ ხუდავერდიანთან** ერთად, თავის ქალის ხელოვნური დეფორმაციების ტიპების შესწავლას, მათზე არსებული ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების აღწერას და ნიმუშების მომზადებას გენეტიკური ანალიზისათვის, რომელიც უნდა ჩატარდეს მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტში (ლაიფციგი, გერმანია).